ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1917 წ.

საქართველო

№ 74 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 74

ბელის მიწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის მისამართი ყოველებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, почт. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

ბანცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., ბოლოს კნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოოქერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათისშემდეგ (ბეჭდება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს
თავისუფალ რუსეთში

2 აპრილს გარდაიცვალა თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი

ფიო ისააკის ძე
ფიუკაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ შვილები მისი **ნინო და თამარი.** პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზედ, სასულიერო სკოლის ეკლესიაში (ჩერქეზიშვილისა და ტურგენევის კუთხე). **წირვა** იმავე ეკლესიაში, დაკრძალვა მოხდება წმიდა ნინოს სასაფლაოზედ, ხუთშაბათს, 6 აპრილს.

(1—587—1)

შაბათს, რვა აპრილს, გადახდილი იქნება სოფელს ბელაგორში ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოვოთ გარდაცვალებულის ქუთაისის კლასიკურის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფის

გოგი სპირიდონის ძის
კიკნაძისა

სულის მოსახსენებლად, რასაც გულდამწვარნი მშობელნი მისნი **სპირიდონ ანტონის ძე და სოფიო კონსტანტინეს ასული კიკნაძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება წმიდა გიორგის მერის კარის ეკლესიაში დილის ათ საათზე, ხოლო შემდეგ წირვისა —პანაშვიდი თვით სასაფლაოზე.

(1—585—1)

ფრიად დამწუხრებული უბედური მეუღლე **ნიკო დიმიტრის ძე მახარობელიძე,** განუსაზღვრელს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, ვინც პატივი სცა პირადად დასწრებით, წერილობით და დეპეშებით მისი ძვირფასი მეუღლე

მარიამ მახარობლიძის
გარდაცვალების გამო.

(1—586—1)

ფოდოდეგა

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ეს-წრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაპერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დახეხეთ საჩქაროთ უფხო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ ხიმშილს. თუ ჩვენი მოხავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

ქართული სამართლისათვის

თავი რომ გავანებოთ იმ უკულმართობას, რომ ძველი რეჟიმის დროს ქართველი ხალხისათვის სამართალი პეტროგრადის მაღალ ბიუროკრატიის წრეებში იწერებოდა და რომ იგი სამართალი არც ჩვენს ბუნებას შეეფერებოდა, არც ჩვენს ტრადიციას და ზნე-ადათჩვეულებათ, ქართველ ხალხის ნამდვილი ტანჯვა-წამება მართლმსაჯულების მისაღწევად იმაში მდგომარეობდა, რომ ეს უხეირო სამართალიც ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სწარმოებდა და რომ მოსამართლენი და გამომძიებელ-ბრალმდებელნი, როგორც ქართველნი, ისე არაქართველნიც საქმის წარმოებას რუსულ ენაზედ მისდევდნენ. ვინ იცის რამდენი უსამართლო განჩინების წყარო ყოფილა უხეირო და უვიცი თარჯიმანი? რამდენი კაცი დაღუპულა უდანაშაულოდ, რამდენს წაუგია თავისი საცხოვრებელი მხოლოდ იმიტომ, რომ მომჩივანმოპასუხეს თავის აზრით პირდაპირ ვერ გადაუცია გამომძიებლებისა და მოსამართლეებისათვის.

დღეს ძველი წესების ლიკვიდაციის დროა. ქართველმა ხალხმა უნდა იგრძნოს რეალურად ერთგვარი შვება და თავისუფლება თავის სოციალ-უფლებრივ ცხოვრების მოგვარების საქმეში.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ნაბიჯები უნდა გადადგას სწოდედ იმ მხრივ, რომ ქართველებს და საერთოდ ადგილობრივ ხალხებს სამართალი ჯერ-ჯერობით იმით მაინც დაუახლოვოს, რომ მოსამართლეებათ მათივე ქვეყნის შვილები მიუყენონ. ბევრი ქართველი მოსამართლეა საქართველოს გარეშე.

იუსტიციის მინისტრმა რომ სათანადო განკარგულება მოახდინოს და ყველა ქართველი მოსამართლე, გამომძიებელი და სხვანი საქართველოში გაამწესოს და რომ მომჩივან-მოპასუხეთა და მოწმეების დაკითხვა ამ თანამდებობის პირთ ქართულ ენაზე დაეავალოს, ამით მართლმსაჯულების საქმეს ჩვენს ქვეყანაში თვალსაჩინო გაუმჯობესობა დაეტყობა. ქართველმა კომისარებმა ამ გარემოებას უნდა ყურადღება მიაქციონ და იზრუნონ, რომ ქართველ ხალხს რეჟიმის გამოცვლა რაც შეიძლება ფართედ გამოაყენებინონ. ასეთი პატარ-პატარა ცვლილებანი და მდგომარეობის შემსუბუქებანი შესაძლებელია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის რადიკალური ცვლილება მოხდებოდეს.

საქართველოს ტერიტორიული ავტონომია.

კომუნისტურ მანიფესტში, რომელიც ყოველი მუშისათვის სახარებას უნდა წარმოადგენდეს, არის ყველას მიერ ცნობილი სიტყვები: ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით.

თუ ისე გავიგეთ ეს სიტყვები, თითქოს მარქსი და ენგელსი საჭიროდ სთვლიდენ მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ეროვნული საზღვრების წაშლას, ეროვნული სხვა და სხვაობის მოსპობას, დიდი შეცდომა იქნება.

ყველა ქვეყნის პროლეტარებს ერთი საბოლოო მიზანი აქვთ: ბურჟუაზიული ურთიერთობის მოსპობა და სოციალისტური წყობილების დამყარება. ამ მიზნის განხორციელებისათვის სრულებითაც არ არის საჭირო, მაგალითად, რომ საფრანგეთისა და გერმანიის საზღვრები წაიშალოს და საფრანგეთი გერმანიას შეუერთდეს ან გერმანია საფრანგეთს.

ასეთი შეერთება მუშათა კლასის საბოლოო მიზანს უფრო ზიანს მოუტანს, რადგანაც ამ მიზნის განხორციელებას ასე თუ ისე შეაფერხებს ეროვნული ბრძოლა.

მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი საფრანგეთის საზღვრებში ჰმოქმედობს, გერმანიისა გერმანიის საზღვრებში, ორივე ერთად ანხორციელებენ პროლეტარიატის საერთო მიზანს—სოციალიზმის დამყარებას.

რაც ითქმის დამოუკიდებელი ერის პროლეტარიატზე, იგივე ითქმის დამოკიდებელი, ანუ შეერთებული ერის პროლეტარიატის შესახებ.

წარმოვიდგინოთ ერთ წამს, რომ საქართველო არ შეერთებია რუსეთს და დღემდე მან შეინარჩუნა თვისი დამოუკიდებლობა. ჩვენი პროლეტარიატის საბოლოო მიზნის განსამარჯვებლად საჭირო იქნებოდა, რომ ჩვენ ჩვენისავე ხელით ჩვენი დამოუკიდებლობა მოგვესპო და რუსეთს შეერთებოდით?

არა და არა.

ამგვარი მოთხოვნილებანი არც ერთი თავისუფალი ქვეყნის პროლეტარიატს არ მოსვლია აზრათ.

დღევანდელს პირობებში, როდესაც ჩვენი სამშობლო წარმოადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას, ჩვენი პროლეტარიატის საბოლოო მიზნისათვის და საკეთილდღეოდ საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა პეტროგრადიდან სწარმოებდეს?

ჩემის აზრით ეს სრულებით არ არის საჭირო.

რუსეთის ნაწილს მარტო საქართველო კი არ შეადგენს; რუსეთის ნაწილია პოლონეთი (დღემდე იყო მაინც); რუსეთის ნაწილია ლიტვა, რუსეთის ნაწილია უკრაინა და სხ.

პოლონეთის სოციალდემოკრატები ითხოვდნენ პოლონეთის ტერიტორიულ ავტონომიას და დღეს ისეთი ხანა დადგა, რომ პოლონეთში სოციალდემოკრატებიცა და უკიდურესი ნაციონალისტებიც დამოუკიდებლობაზე ოცნებობენ. ლიტვაში სოციალდემოკრატები ლიტვის ტერიტორიულ ავტონომიას თხოულობენ.

ჩვენ რომ დამოუკიდებელ ერს წარმოვადგენდეთ და მეგრელებმა ტერიტორიული ავტონომია მოითხოვონ, ჩვენ გაგვიკვირდება: ჩვენი ძმები ხართ და რათ გინდათ ავტონომიაო, ბევრი ვეტყვით.

უკრაინა თითქმის იგივეა რუსეთში, რაც სამეგრელო ჩვენში; მიუხედავად ამისა უკრაინის სოციალდემოკრატია ითხოვს უკრაინის ტერიტორიულ ავტონომიას და პეტროგრადის მუშათა საბჭოს წევრი სოციალდემოკრატი სოკოლოვი საჯაროდ აცხადებს: უკრაინამ ავტონომია უნდა მიიღოსო.

აქედან ცხადია შემდეგი: თუ პოლონეთში, ლიტვაში, უკრაინაში პროლეტარიატის ინტერესი არ მოითხოვს ამ ქვეყნების მართვა-გამგეობას პეტროგრადიდან ანუ ცენტრალისტურ დამოკიდებულებას, ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება არც ჩვენი პროლეტარიატისათვის არის საჭირო. აქედანვე აშკარავდება შემდეგი დებულება: თუ ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის სოციალდემოკრატიული პარტიის პრინციპებს, არც ჩვენში იქნება პრივციპების ღალატი, რომ ჩვენმა სოციალდემოკრატიამ **საქართველოს ტერიტორიული ავტონომია მოითხოვოს.**

დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად გამოუვეგულია

თავისუფლების სესხი
1917 წლისა.

ამ სესხის ობლიგაციების ღირებულებაა 50, 100, 500, 1000, 5000, 10,000 და 25000 მან. წლიურად შემოსავალი 5 პროც., რაიც წელიწადში ორჯელ იძლევა, ერთი 16 მარტს, მეორე 16 ენკენისთვეს.

სესხი გამოშვებული იქნება 5 წ. მისი ობლიგაციების გამოცემა მოხდება ყოველ წელს, 1922 წლიდან დაწყებული.

სესხზე ხელის მოწერა დაიწყება 6 აპრ.-დან და გასტანს 31 მაისამდე 1917 წ.

სახელმწიფო ბანკების კანტორებსა და განყოფილებაში,
მუდმივ და საველე ხაზინებში,
სახელმწიფო შემნახველ კასებში,
წვრილი კრედიტის დაწესებულებაში,
კერძო კომერციულ ბანკებში,
ქალაქის საზოგადო ბანკებში და წვრილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში
და იმ საერობო სამმართველოებში, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

ხელმოსაწერი ფასებია
85 მან. 100 მან.

რომელთაც დაერთოგათ ამ წლის 16 მარტ. პროცენტები.

ობლიგაციის ღირებულობა—ფასი, ერთ დროულად უნდა იქმნეს გადახდილი. იმ კვიტანციების (სანამ ნასყიდი ობლიგაციები ჩაბარდება მყიდველს) და აგრეთვე ობლიგაციის საშუალებით შეიძლება სესხის აღება. ამ შემთხვევაში, კვიტანციები ან ობლიგაციები უნდა წარედგინოს იმ სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, სადაც ასეთი ოპერაციები—(სესხი) სწარმოებს, და მიეცემა ობლიგაციის ღირებულობის 75%, წლიური 5¾% შეღავათიან პროცენტით, რომელიც, ესე იგი, სესხის აღება, განთავისუფლებულ იქმნება ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისგან, რაიც საზოგადოთ შემოღებულია მიმდინარე ანგარიშით და თამასუქებით—ვადიან სესხისა.

აღებულ სესხის განაღდება შეიძლება აგრეთვე 5% საგალდებულო სახელმწიფო ქაღალდების წარდგენით, წლიური 5% გამოკლებით.

შეძენილი ობლიგაციები მიიღება შესანახად სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, უფასოდ: სამაგიერო დოკუმენტი, რომელიც მიეცემა ობლიგაციის პატრონს, საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

(2—636—1)

ეძიები
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოპანეზოვისა).

მოსკოვის ხანაშინი საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუსაგა

ეძიები კბილიხა
ე. ივ. გალარჯაშვილი-
მათეოვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ეძიები
მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, **ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.**

ეძიებენ
გ. გ. მუსაძე

იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; **სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.**

ეძიები
ბ. ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ. ბ.

ბ. ბ. ბ. ბ.

პოლონეთში ტერიტორიულ ავტონომიას მარტო სოციალდემოკრატიული პარტია კი არ მოითხოვდა, მოითხოვდენ სხვა პარტიებიც. მიუხედავათ ამისა იქაურ მუშებს სრულებითაც არა ჰქონიათ შიში: ავტონომიის მოთხოვნილებით სხვა პარტიებში გავითქვიფებით და ჩვენს სახეს დავკარგავთო.

ჩვენში კი ყოველი შეგნებული მუშა დარწმუნებულია, ავტონომია რომ მოვითხოვო, ფედერალისტათ გადაგიქცევი და ჩემს რწმენას—სოციალდემოკრატიულ პარტიას ვუღალატებო.

მუშათა კლასი და სოციალდემოკრატიული პარტია, როგორც ყველგან ისე ჩვენში, იმდენათ გარკვეულ სახეს ატარებენ, მათი პროგრამა იმდენად ჩამოყალიბებულია და მათი მეცნიერული საფუძველი იმდენად მკაფიო და თავისებური, რომ ეროვნულ საკითხში რა გზაც უნდა აირჩიონ, მათ საკუთარ პარტიულ სახეში ეს ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანს და ამ გვარი შიში სრულებით უსაფუძვლოა.

ტერიტორიულ ავტონომიას ჩვენში თავადებიც თხოულობენ.

მერე რა ვუყოთ? მოითხოვონ.

დღეს რუსეთში კადეტები დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოულობენ.

მაშ პროლეტარიატი უნდა გამოდგეს და იყვიროს: მე არ მინდა დემოკრატიული რესპუბლიკა, რადგანაც მას კადეტები თხოულობენო?

ამ გვარი შიში არის ნაყოფი ყალბი აზროვნებისა და დროსა, მას გამოვეთხოვით.

სხვაგან, ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში, სოციალდემოკრატია იზიარებს სხვა პარტიების ეროვნულ პროგრამას და ამის გამო სრულებითაც არ ეშინია მას, ჩემი სახე არ დავკარგო და სხვა პარტიებში არ გავითქვიფოვო. ჩვენში კი ყოველი ჩვენგანი ცდილობს, არასფერში არა ჰგავდეს სხვას, არასფერი არ ჰქონდეს სხვასთან საერთო და შუდამ ერთის შიშით არის შეპყრობილი: სხვასთან მგზავსება რომ აღმოჩნდეს, მაშინ ხომ ჩემი რწმენის მოღალატე გამოვდექიო.

ხშირათ გამიგონია მუშებისაგან: ჩვენ და რუსის მუშებს ერთი მიზანი გვაქვს, ამიტომ ერთმანეთს ვერ დავშორდებით; ავტონომია კი დაგვაშორებსო.

ამგვარ მოსაზრებას რომ საფუძველი ჰქონდეს, მაშინ მას პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის მუშებიც წამოაყენებდენ და ტერიტორიულ ავტონომიას უარჰყოფდენ, მაგრამ ისინი ასე არ იტყვიან,—პირიქით ტერიტორიულ ავტონომიას დაჟინებით მოითხოვენ.

თუ იმას იფიქრებს ჩვენი მუშა ხალხი, რომ რუსეთის პროლეტარიატი უამისოთ თავის მიზანს ვერ მიაღწევს, ეს იქნებოდა პამპულასებური გაბერვა საკუთარი ძალღონისა.

ან თუ იმას იფიქრებს ჩვენი მუშა ხალხი, რუსეთის პროლეტარიატი თუ არა ისე ჩემს მიზანს ვერ განვახორციელებო, ესეც ნამეტარი დამცირება იქნება საკუთარი ძალღონისა.

აქ სიმართლეც რომ იყოს, ტერიტორიული ავტონომია სრულ დამოუკიდებლობას კი არ ნიშნავს,—ჩვენი მფარველი ისევ რუსეთი იქნება და ჩვენი დემოკრატიული წყობილების დარაჯი გარდა ჩვენი დემოკრატიისა რუსეთის პროლეტარიატიც იქნება.

ყოველი ერის პროლეტარიატი განსაზღვრულ ტერიტორიაზე ახორციელებს თავის მიზანს.

ასტრონომი პარიზიდან იკვლევს ცას, პეტროგრადიდან, ბერლინიდან, თბილისიდან თუ ნიუიორკიდან,—სულ ერთია—ის ემსახურება ერთ დარგს მეცნიერებისას.

სწორეთ ასევე პროლეტარიატიც: საფრანგეთში იბრძვის ის, ინგლისში, გერმანიაში თუ რუსეთში, სულ ერთია, ის ემსახურება პროლეტარიატის საერთო საქმეს.

ერთი ქვეყნის პროლეტარიატს არ შეუძლია მთელი დედამიწის საქმე გააკეთოს, მთელ კაცობრიობას გასწვდეს, არც არის ეს საჭირო. რაკი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს ერთი მიზანი აქვს, დეე ყველამ თავისი ქვეყნის საზღვრებში იშოქმედოს. შეერთებული მოქმედება ყველასი ახორციელებს საერთო მიზანს. მხოლოდ ასე შეიძლება გაგება და ახსნა სიტყვებისა: ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდითო, და არა ისე, თითქოს საჭირო იყოს ეროვნულ ტერიტორიული საზღვრების უარყოფა.

ქართველი მუშა ხალხი პროლეტარიატის საერთო მიზანს საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს მიწა-წყალზე ახორციელებს.

ამიტომ, თუ ის ეცდება, ამ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისეთი უფლებები მოიპოვოს, რომ მისმა მოქმედებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, იმით მუშა ხალხი კი არ ჩამოშორდება თავის მიზანს, უფრო სწრაფის ნაბიჯით გასწევს იქითკენ. ჩვენ რომ მოვიპოვოთ ტერიტორიული ავტონომია, ჩვენს საზღვრებში მოექცევიან სხვა ერებიც. შესაძლებელია ჩვენ ისინი შევავიწროვოთ, შევზღუდოთ და მაშინ ავტონომიის წყალობით ჩვენი სამშობლო გადაიქცევა ეროვნული მტრობისა და სიძულვილის ასპარეზათ. ეს კი მუშა ხალხის საერთო საქმეს ხელს შეუშლის.

ამგვარი შიში არსებობს მუშათა წრეში, მაგრამ ეს შიში სრულებით უსაფუძვლოა.

საქმე იმაშია, რომ ტერიტორიული ავტონომია თვითმპყრობელობა ხომ არ არის, ან ბატონყმობის აღდგენა, როგორც ზოგიერთი ჩვენი პროპაგანდისტი ანათლებდა ჩვენს სოფელს.

ტერიტორიულ ავტონომიას სარჩულად ედება დემოკრატიული წყობილება. ტერიტორიულ ავტონომიაში გამეფებული იქნება დემოკრატია და არა თავად-აზნაურობა. ყოველი ნაბიჯი ჩვენი დემოკრატიისა დემოკრატიული იქნება და არა დემოკრატიის საწინააღმდეგო. ამიტომ სრულებით უსაფუძვლოა ის შიში, თითქოს ჩვენი დემოკრატია შეავიწროებს საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს.

ყველა ეს მოსაზრებანი მხოლოდ იმ აზრის გასაუქმებლად ჩამოვთვალე, რომ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია სრულებით არ ეწინააღმდეგება მუშა ხალხის მიზანსა და სოციალდემოკრატიის მოძღვრებას.

მიუხედავად ამისა შეიძლება ის მაინც არ მოვითხოვოთ დღევანდელს პირობებში; ტაქტიკურის მოსაზრებით შეიძლება ჯერჯერობით გავჩუმდეთ და ეს საკითხი არ წამოვაყენოთ.

სწორედ დღევანდელი პირობები მიმაჩნია მე ხელსაყრელათ, რომ ტერიტორიული ავტონომია მოვითხოვოთ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ არ წარმოვადგენთ დაპყრობილ ერს. ჩვენ ჩვენის ნებით შევუერთდით რუსეთს. ჩვენს შეერთებას საფუძვლად დაედვა ხელშეკრულობა ანუ ტრაქტატი, რომელიც არ დაკარგულა და დღემდე დაცულია. ამ ხელშეკრულობას ადასტურებს როგორც ჩვენი მთავრობა, ისე რუსეთისა.

ამ ხელშეკრულობის ძალით ჩვენ საკუთარს, შინაურს საქმეებში სრული ბატონ-პატრონი უნდა ვყოფილიყავით,—ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩვენს საკუთარს ხელში უნდა ყოფილიყო. ერთის სიტყვით საქათთველო იქნებოდა ავტონომიური სახელმწიფო რუსეთის მფარველობის ქვეშ.

შემოდგა თუ არა ჩვენში ფეხი რუსეთის ჟანდარმმა, ეს ხელშეკრულობა სრულებით გააუქმა რუსის მთავრობამ და ამგვარად ძალადობით აგვყარა ყველა უფლებანი.

ახალმა მთავრობამ მოსპო ძველი რეჟიმი და აღადგინა ადამიანის უფლებანი; ის ვალდებულია, აღადგინოს ერის უფლებანი, ის უარს ვერ გვეტყვის იმაზე, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

ხვალ კი შეიძლება უარი გვითხრას და აი რატომ.

ამ ჟამად რუსეთში ბურჟუაზიული რევოლიუციაა; თავად-აზნაურობისა და ბიუროკრატიის ბატონობა ისპობა, იმათ ალაგს იკერს მრეწველთა და ვაჭართა კლასი ანუ ბურჟუაზია. ქვეყნის მართვა-გამგეობა გადადის ოქტომბრისტებისა და კადეტების ხელში. ესენი არიან რუსეთის ბურჟუაზიის იდეიური ხელმძღვანელნი.

სანამ ბურჟუაზია საბატონო ტახტზე ჯერ არ წამოიჯდარა მძიმეთა და იმედიანათ, უშიშრათ, ის გულუხვად თვისი ხელმძღვანელების პირით უხვად არიგებს ყოველგვარ თავისუფლებას,—ერთ არშინს თხოულობთ, სამი მიირთვით, წაიღეთ ყოველგვარი თავისუფლება! მაგრამ, როდესაც ბურჟუაზია ფეხს მოიმაგრებს და გაბატონდება, ჩვენ ვიცით მაშინ მისი გულუხვობის ამპავი,—უბრძოლველად ვეღარაფერს დააძრობ ხელიდან.

აი სანამ ძველი ბატონი თავდაღმა მიექანება და ახალი ჯერ არ დამკვიდრებულა მწვერვალზე, სწორედ ახლა შეგვიძლია დამფუძნებელ კრებას ავტონომია მოვთხოვოთ. თუ ეს მომენტი ხელიდან გაუშვით, დიდხანს ვეღარ მოვიპოვებთ.

იქნება ავტონომიის მოთხოვნით რუსეთის დემოკრატიას ვაწყენინოთ, გული გავუტეხოთ!

რუსეთის დემოკრატიის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი, სოკოლოვი, აცხადებს: უკრაინელებს ავტონომია უნდა მივცეთო.

აქედან აშკარაა, რუსეთის დემოკრატიას, რუსის პროლეტარიატს პრინციპიალურად არაფერი არა აქვს ტერიტორიული ავტონომიის წინააღმდეგი.

ტერიტორიული ავტონომია არ ეწინააღმდეგება არც ჩვენს მიზანსა და მოძღვრებას, არც ჩვენს ტაქტიკას.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ის არ მივიღოთ, თუ რომ ის ჩვენი ქვეყნისთვის საზარალოა.

მაშ განვიხილოთ, რას მოგვიტანს ჩვენ ტერიტორიული ავტონომია.

ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა იქნება ჩვენს საკუთარს ხელში. რადგანაც ჩვენში დემოკრატია საკმაოთ ძლიერია და ყოველისფერი დემოკრატიულათ იქნება მოწყობილი, ქვეყნის სათავეში ჩადგება და დამკვიდრდება დემოკრატია.

ჩვენი ქვეყანა პატარაა და მასთან მდიდარი. გაკეთდება რკინის გზები ყოველ კუთხეში, გაჩაღდება მრეწველობა, მეურნეობა, ვაჭრობა. მუშა ხელი უმუშევრათ არ დარჩება. ხელფასი იმატებს, გლეხის ნაწარმოებს ბაზარი გაუჩნდება და ამგვარათ მთელი ხალხის კეთილდღეობა შესამჩნევათ წაიწევს წინ. მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას კვალდაკვალ მიჰყვება მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის განვითარება და ჩვენი ქვეყანა უცილობლივ გაუსწრებს შვეიცარიას, რადგანაც ჩვენი ქვეყანა გაცილებით უფრო მდიდარია.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას თან მოჰყვება ძლიერი ქართველი ბურჟუაზია. მაგრამ ეს სრულებითაც ნუ შეაშინებს მუშა ხალხს, რადგანაც სადაც ძლიერი ბურჟუაზია არის, იქვეა ძლიერი მუშათა კლასიც.

კლასთა ბრძოლა გაღრმავდება. მე მრწამს, რომ ავტონომიური საქართველო გაცილებით უფრო ადრე განახორციელებს საბოლოო მიზანს პროლეტარიატისას—სოციალიზმს, ვიდრე საქართველო ტერიტორიულ ავტონომიას მოკლებული.

განათლებული, განვითარებული, მდიდარი საქართველო; მეცნიერული, ტექნიკური და ყოველგვარი პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ქართველი ერი; განვითარებული ვაჭრობა-მრეწველობა და ძლიერი მუშათა კლასი—აი რას უქადის ქართველ ერს ტერიტორიული ავტონომია. დაწვრილებით ლაპარაკი ავტონომიის ფუნქციების შესახებ ზედმეტია.

მნიშვნელობა აქვს თვით პრინციპს ავტონომიისას. თუ ჩვენ მოვახერხეთ ავტონომიის მიღება, რა ვიწროც უნდა იყოს მისი ფუნქციები, დრო თანდათან გააფართოებს და განავითარებს მას.

მაგალითი თვალწინა გვაქვს: სახელმწიფო სათათბირო პირველად არასფერს არ წარმოადგენდა რუსეთში, ახლა კი ყოველისფერია.

როგორ უნდა მივიღოთ ავტონომია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რა არის საჭირო ავტონომიის მისაღებად?

საჭიროა მთელი ქართველი ერის ხმა გაისმას, მთელმა ქართველმა ერმა მოითხოვოს, რომ მისთვის ტერიტორიული ავტონომია სასიცოცხლო საკითხია. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა პარტიების შეთანხმება.

ავტონომია საქართველოსი არ არის პარტიული საქმე. ის არის მთელი ერის საქმე. ამიტომ ვერც ერთი პარტია თავის თავად ვერც მიიღებს მას, ვერც უარჰყოფს. ყველა პარტიები და ჯგუფები უნდა შეთანხმდენ და ერთად შეიმუშაონ დასაბუთებული გეგმა საქართველოს ტერიტორიული ავტონომიისა.

საქართველო შინაურმა კინკლაობამ დაჰღუპა. სამწუხაროდ ამასვე ვხედავთ დღესაც.

საკმაოა შეგნება დიადი ისტორიული მომენტისა, საკმაოა გათვალისწინება ჩვენი მოვალეობისა მამულის წინაშე-დღევანდელ დღეს ჩვენ ეს არა გვაქვს. სიტყვით სულ შეთანხმებაზე ვლაპარაკობთ, საქმით კი ყოველ დღე ძირს ვუთხრით ამ შეთანხმებას.

სირცხვილი როგორ არ არის, როგორ არ უნდა ვწითლდებოდეთ, რომ ჩვენ მეზობელ სომხებს დროებითი მთავრობა პეტროგრადში იბარებს: ავტონომიის მასალები წარმოგვიდგენეთო.

ჩვენისთანა საბუთი ავტონომიის მოსაპოვებლად დედამიწის ზურგზე მეორე ერს არ მოეპოვება და ჩვენ კი არავინ არა გვცემს ხმას. ან კი როგორ უნდა დაგვიბაროონ, როდესაც ავტონომიის საკითხი ჯერ კიდევ სადაოა ჩვენ შორის!

მარტო პარტიათა შეთანხმება საკმარისი არ არის ჩვენი ავტონომიის ბედისათვის,—აუცილებლათ საჭიროა ჩვენს მეზობლებთან—თურქებთან და სომხებთან მოლაპარაკება და შეთანხმება.

თურქებთან შეთანხმება ადვილია, რადგანაც ჩვენ შორის ტერიტორიის გამიჯვნა შედარებით ადვილია.

სომხებთან შეთანხმება კი გაცილებით უფრო ძნელია, რადგანაც ჩვენ შორის ტერიტორიის გამინჯვა მეტად ძნელია და ბევრი სადაო საკითხი წამოჰყოფს აქ თავს.

ეჭვს გარეშეა, ზოგი ჩვენ უნდა დავუთმოთ, ზოგი მათ. ეს საჭიროა ორივე ერის კეთილდღეობისა და ძმური განწყობილებისათვის.

თუ სომხებმა ჩუმათ, ფარულად მოახერხეს ავტონომიის მიღება კავკასიაში, ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ დავეთანხმებით; აგრედვე ისინიც ვერ დაგვეთანხმებიან, რომ ჩვენ ჩუმათ მივიღოთ ავტონომია.

ეჭვს გარეშეა, ზოგან სამზღვრებს შესწორება დასჭირდება და ჩვენი სოფლები სომხეთის ტერიტორიულ ავტონომიაში მოექცევიან, მაგრამ ეს აუცილებელია. ხხოლოდ ერთი რამ აუცილებელია. ეს ერთი რამ ცხადი უნდა იყოს ჩვენთვისაც და მათთვისაც:

საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის დედაქალაქი თბილისი უნდა იყოს.

უმჯობესია, მთელი ქართველი ერი ერთ დღეს გასწყდეს. ვიდრე მან თბილისი დაჰკარგოს. ტერიტორიული ავტონომია უთბილისოდ—ეს იქნებოდა ქართველების უდიდესი შეურაცყოფა, სასაცილოთ აგდება, პამპულათ გამოყენა.

მეტყვიან თბილისში უმრავლესობა სომხობა არისო. მერე რა ვუყოთ?

პოლონეთის ბევრ ქალაქში დიდი უმრავლესობა ებრაელები არიან, მიუხედავათ ამისა პოლონეთი პოლონელების არის და არა ებრაელების.

თბილისში ერთი ქართველიც რომ არ იყოს, მაინც ქართველების არის თბილისი,—სხვისი არავისი.

თბილისი ჩვენთვის აღთქმის ქვეყანაა, ჩვენი სიწმინდეა, ჩვენი სულიერი განძია; თბილისი ჩვენს სულშია, ჩვენს არსებაში ჩაქსოვილი ისე მჭიდროთ, რომ მისი ამოშლა, მისი ამოგლეჯა ყოვლად შეუძლებელია. თბილისი ჩვენი ისტორიაა, ჩვენი მომავალია! თბილისი ჩვენი ბედია, ჩვენი სიყვარული, ჩვენი სიხარული, ჩვენი იმედი, ჩვენი ოცნება.

სხვისთვის კი რა არის თბილისი?

სიმდიდრე, ფული,—მეტი არაფერი?

თბილისთან ჩვენ აგურები კი არ გვაკავშირებს, როგორც ჩვენს მეზობელ სომხებს. თბილისთან ჩვენ გვაკავშირებს ჩვენი გული, ჩვენი ქართველობა, მთელი ჩვენი ისტორია.

პოლონეთის ბევრ ქალაქში დიდ უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ, მაგრამ არც ერთ პოლონელ სოციალდემოკრატს არ მოსვლია აზრათ ამ ქალაქების ცალკე გამოყოფა.

თბილისი ქართლის ნაწილი იყო, არის და უნდა იქნეს.

თბილისი საქართველოს დედაქალაქი იყო, არის და უნდა იქნეს. („თეატრი და ცხოვრება“).

ივ. გომართელი.

ქართული პრესა

გამოვიდა ახალი გაზეთი „ხალხის ერთობა“. გაზეთის ხელმძღვანელნი თავის თავს „საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას“ უწოდებენ. სახელმძღვანელო წერილში სხვათა შორის ვკითხულობთ:

„ოცი წელიწადია, რაც საქართველოს მუშა ხალხი რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათაპარტიის უღელსა ზიდავს. ქართველი სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლნი ამშვენებდნენ რუსეთის ყოველ სახელმწიფო სათათბიროს, ამშვენებენ და კვლავაც დაამშვენებენ. დღეის შემდეგაც ქართველი მუშა ხალხი შეუდრეკლად ივლის თავის ძმა რუსეთის და სხვა ერთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან ერთად, უკან არ დაიხევს. ხოლო დღეს, რუსეთის საერთო ბრწყინვალე აღდგომის დღეს, საქართველოს ყოველი მუშა, ყველა შრომის შვილი, ყველა ის, ვისაც გულს უწყლავს თავისი ქვეყნის ბედიც, უნდა ეცადოს აღადგინოს მამაპაპათაგან გადმოცემული მიწა-წყალი და მოიპოვოს საშინაო საქმეებში საკუთარი კანონმდებლობა, ესე იგი—ტერიტორიული ავტონომია.

ავტონომიის მოთხოვნა ყველას შეუძლიან, თვით გაბატონებულ კლასებსაც, მაგრამ უმჯობესია თვით ჩვენ—საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის ძმამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ მოვითხოვოთ ავტონომია, რომ ჩვენებური სული შთაგბეროთ შიგ, ე. ი. ეს ავტონომია დემოკრატიულ საფუძველზე დავამყაროთ: მიწაწყალი მშრომელ ხალხს მიეცეს, არც ერთი ერი ჩვენი მეზობელი—არც თათარი, არც რუსი, არც სომეხი ანუ სხვა არ შევაწუხოთ და არც შეგვაწუხონ.

ამ ტერიტორიულ ავტონომიის მოპოებისთვის კი დღეს საჭიროა ჩვენი ხალხის ერთობა.

გაზეთში სხვათა შორის ივ. გომართლის საინტერესო წერილია დაბეჭდილი „სოფლის ხალხს“.

რევოლიუციის დეპეშები

1 აპრილი.

ომის საკითხი მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოში

პეტროგრადი. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების წარმომადგენელთა კრებაზე კამათი იყო წერეთლის მიერ შეტანილ რეზოლიუციის გამო. რეზოლიუცია აღმასრულებელ კომიტეტის სახელით იყო შეტანილი და ომის გათავებას ეხება. ბოლშევიკების სახელით ილაპარაკა კამენევმა და მოითხოვა ომი რაც შეიძლება მალე უნდა გათავდესო. ამან დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია. მეტადრე წინააღმდეგნი იყვნენ ფრონტის წარმომადგენელნი. უმეტესად ბოლშევიკების მიერ მრავალი შესწორებანი და ახალი რეზოლიუციები იყო შეტანილი. ბოლოს 325 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 55 (20 თავი შეიკავა კენჭის ყრაში) მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ჯარის კაცმა რომმა შემდეგი ცვლილება შეიტანა: „რუსეთის რევოლიუციონერი ხალხი ეცდება ერთა თანასწორობაზე და ძმობაზე დამყარებული ზავი ჩამოაგდოს. ყველა მეომარმა მთავრობებმა უარი უნდა სთქვან დაპყრობით პოლიტიკაზე და ეს იქნება უძლიერესი სახსარი ომის გათავებისა. ვიდრე ეს პირობები აღსრულებულ არ იქნებიან, ვიდრე ომია, რუსეთის დემოკრატია დარწმუნებულია, რომ ლაშქრის დამარცხება მისი დასუსტება და ბრძოლის უნარის დაკარგვა, უდიდესი მარცხი იქნება თავისუფლებისა და ცხოველმყოფელ ინტერესებისა“. ყველანაირი შესწორებანი უარყოფილ იქმნა. კენჭის ყრის შედეგებს ტაშის კვრით შეხვდნენ.

ჯამაგირების მომატება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო და უკვე დაადგინა, რომ აპრილის პირველიდან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ ჯამაგირები უნდა მოემატოთ. ამისათვის საჭიროა დამატებით ხარჯი 62.600,000 მანეთი. ეს ფული ფოსტა-ტელეგრაფის სრული მოგებაა.

ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატები და დროებითი მთავრობა

პეტროგრადი. 31 მარტს ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების წარმომადგენლების კრება სტეკლოვის მოხსენებაზე მსჯელობდა. მოხსენება დროებით მთავრობას შეეხებოდა. სტეკლოვის მოხსენება აღმასრულებელ კომიტეტის სახელით იყო წაკითხული. მომხსენებელი იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ დროებით მთავრობას მხარი უნდა მივცეთ, მაგრამ ზოგიერთი პირობანი უნდა წარვუდგინოთო. ამავე დროს მომხსენებელი კრიტიკას უკეთებდა დროებით მთავრობას და ჰკიცხავდა კიდეც ზოგ მის მოქმედებას. ამას „ბოლშევიკ“ სოციალ-დემოკ. მხარი დაუჭირეს. ესენი ითხოვდნენ დროებით მთავრობას უნდობლობა გამოვუცხადოთო, იმიტომ, რომ იგი ბურჟუაზიიდან გამოვიდა და ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციას ხელს არ უშლისო. რამდენიმე ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა კოალიციონურ მთავრობის შედგენაო. ბოლშევიკი კამენევი ითხოვდა, რეზოლიუციაში მოვიხსენიოთ, რომ დროებითი მთავრობა კონტრ-რევოლიუციას ხელს არ უშლის და რომ დემოკრატიას მხოლოდ ერთი თვალსაზრისი უნდა ჰქონდეს—არ ენდოს არცერთ მთავრობას, თუ იგი მთავრობა დემოკრატიის წრიდან არ იქნება გამოსულია. სოციალ-დემოკრატები მენშევიკები და აგრედვე შრომის ჯგუფი ამის წინააღმდეგნი იყვნენ. შრომის ჯგუფელმა ბრანსონმა სთქვა, კონტრ-რევოლიუციამ კი არ უნდა დაგვაფრთხოს, არამედ მას უნდა ვებრძოლოთო. ეკატერინოსლავის მეციხოვნეთა წარმომადგენელმა კამენსკიმ განაცხადა ჯარისკაცნი ომის გათავების წინააღმდეგნი არიან და დროებით მთავრობას ენდობიანო. ეკატერინოსლავის მეციხოვნეთ დამავალეს გაცნობოთ, რომ ისინი დროებით მთავრობას ყოველის ღონით [illegible] დაიცავენო. წერეთელმა სთქვა, საქმე ის კი არ არის, რომ დროებით ჩავიგდოთ ძალა, არამედ ის, რომ მოპოვებული თავისუფლებანი შევინარჩუნოთო. დემოკრატიას შეეძლო რევოლიუციის დასაწყისშივე ხელთ ეგდო ძალა. მაგრამ ბურჟუაზიასაც და დემოკრატიასაც ერთი მიზანი აქვთ—დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ მხრივ ბურჟუაზია დემოკრატიას ეთანხმება. ხალხის გონება მიხვდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ბურჟუაზიის და დემოკრატიის შემათანხმებელი პლატფორმაა. ამიტომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დროებითი მთავრობა ანგარი ხალხისაგან შესდგება და მხოლოდ თავის მიზნისკენ მიილტვის. ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭო აცხადებს, რომ არ ყოფილა არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელშიაც მთავრობა საბჭოს არ შესთანხმებოდა. თუ დროებითი მთავრობა ამ გზას ასცდება, მაშინ აღმასრულებელი კომიტეტები მას არ გაჰყვება. მაშინ დროებით მთავრობასა და მუშათა საბჭოს შორის ნამდვილად გაჩნდება კონფლიქტი, ისეთი კი არა, როგორსაც კამენსკი და სხვანი სცდილობენ შეჰქმნან. როცა დროებით მთავრობა წავა, მაშინ შექმნილ იქნება ახალი მთავრობა, რომელსაც ხალხი ამოირჩევს (ტაში).

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების წარმომადგენლებმა, რაკი განიხილეს საკითხი დროებით მთავრობასთან დამოკიდებულებისა, შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: 1) რევოლიუციის მსვლელობაში შექმნილმა დროებითმა მთავრობამ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებთან შეთანხმებით გამოსცა დეკლარაცია. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების კრება აღიარებს, რომ ეს პროგრამა რუსეთის დემოკრატიის მოთხოვნილებათა ძირითად დებულებებს შეიცავს და დადგმდის დროებითი მთავრობა ერთობრივ შის მიერ ნაკისრ გზას ედგა. კრება რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას მოუწოდებს, შემოჰკრბეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გარშემო და გაამაგროს მოპოებული თავისუფლებანი და კანტროლი გაუწიოს დროებით მთავრობას.

კოპენჰაგენი. „ფორვერტსი“ უარსა ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც რუს და გერმანელ სოციალ-დემოკრატთა კონფერენციები ხდებოდეს ნეიტრალ სახელმწიფოებში.

ეროვნული საკითხი

(დეპეშები)

1 აპრილი.

ენათა თანასწორობა

მინსკი. ქალაქის დაწესებულებებში სახმარებლად ყველა ადგილობრივი ენა შემოიღეს.

ესტლიანდია

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა დაადგინოს დროებითი მმართველობა ესტლიანდიისათვის. ესტლიანდიას შეადგენს დორპატის, ფელლინის, პენსოვის ტ ეზელის მაზრები ლიფლიანდიის გუბერნიებისა. ვიდრე ესტლიანდიისათვის ახალი დებულება იქნება შემუშავებული, მას განაგებს დროებითი გუბერნიის კომისარი, მასთან ერთად იქნება ერობის დროებითი საბჭო. საბჭოს წევრებს აირჩევს ხალხი თითო წარმომადგენელს 20.000 კაცზე,

„თანასწორობის ტაძარი“

პეტროგრადი. ებრაელთა პეტროგელის საზოგადოებამ ნაფიც ვექილის ვინარეევის წინადადებით დაარსდა უდიდესი მსოფლიო ინსტიტუტი ეროვნულ საკითხების შესასწავლად. ამ ინსტიტუტის სასარგებლოდ პირველ დღესვე ერთი მილიონი მანეთი შეიკრიბა. ინსტიტუტის სახელი იქნება „თანასწორობის ტაძარი“.

მოსკოვი. საღამოთი აპრილის 2 გაიმართა ებრაელთა სოციალისტ-ტერიტორიალისტების კრება. დაადგინეს მიესალმონ პეტროგრადის და მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებს, აჩერიკელ ებრაელ მუშათა პარტიას და ფილლიანდიის სეიმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. აღძრულ იქმნა კითხვა ებრაელთა ეროვნულ ავტონომიის დაარსებისა.

ბელორუსები

მინსკი. ბელორუსთა ნაციონალური კომიტეტი ეროვნულ ლაშქრის შედგენას შეუდგა.

მინსკი. მრავალ რიცხოვანმა ყრილობამ, ბელორუსთა ეროვნულ წარმომადგენლებისაგან, მინსკის, მოგილევის, ვიტებსკის და ვილნოს გუბე-

რნიეებიდან შემდგარმა, ამოირჩია ეროვნული კომიტეტი, რომელიც წარსდგება დროებითს მთავრობითს წინაშე, განსაკუთრებულ დეკლარაციით, რომელშიაც ნათქვამი იქმნება ომის გაგრძელება სრულ გამარჯვებამდე და მოთხოვნა ბელორუსიის ავტონომიური თვითმართველობისა, რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში, როგორაც დამოუკიდებელ, თვითმმართველ ერთეულისა. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრი სკირმუნტი.

ესპანეთის ჯარი აფრიკაში

მადრიდი. ესპანეთის მეფემ დაათვალიერა 29 ათასი ჯარის კაცი, რომელიც აფრიკიდან დაიბარა, აფრიკიდან ესპანიაში ჯარის გადმოყვანა გრძელდება.

გალიცია

სტოკჰოლმი. ვენიდან იუწყებიან, რომ პარლამენტის კომისიის პოლონეთის კოლომ დაამთავრა ბჭობა გალიციის განსაკუთრებულ მდგომარეობის შესახებ. გადაწყვეტილია, რომ კომისიის წევრები, 1 მაისიდან, იმყოფებოდენ ქ. ვენაში. ისინი დრო გამოშვებით საჭიროების მიხედვით, კრებებს გაჰმართავენ გალიციის ავტონომიურ თვითმართველობის გაფართოების და თავისუფალ ეკონომიურ მოქმედებისათვის, რომელიც უზრუნველ ჰყოფს კულტურულ განვითარებას.

ომის დეპეშები

მთავარ განაკის ცნობა.

2 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მთელს ბრძოლის ხაზზე სროლა და ზვერვაა. მოპირდაპირემ ძლიერ ზარბაზნები დაუშინა ბროდის, ადგილობრივი მკვიდრნიც იმსხვერპლეს. ბრძოლის ხაზზე სხვა და სხვა ადგილას ავსტრიელები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ ხანგრებიდან ბაირაღების ქნევით, ხელთ რადაც ქაღალდის პაკეტები ეჭირათ, სცდილობდნენ თავისთან მიეყვანათ ჩვენი ჯარის კაცები, მაგრამ ზარბაზნების შრაპნელით გავფანტეთ.

რუმინეთის ასპარეზი. სროლა და ზვერვაა. ავსტრიიდან გამოქცეული აფიცერები და ჯარისკაცები გადმოგვცემენ: გერმანელებს და ავსტრიელებს იმედი აქვთ რუსეთის შინაური ორგანიზაციები იმდენად ხელს შეუშლიან დროებითს მთავრობას, რომ ანარქიას მოახდენენ და რუსის ჯარს დაეფოლეთენო.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

მფრინავთა მოქმედება. ბოგოროდჩანის მიდამოებში (გალიციაში) გერმანელების ორი საფრენი ჩამოვაგდეთ, როცლებიც მტრის მხარეს დაეცა, ერთი დაცემის დროს დაიწვა. ფოქშანის აღმოსავლეთით გერმანელების საფრენი ჩამოაგდეს.

4 აპრილი

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტირზე, სოფ. ლიაროვოსთან, ბროდის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე, ჩვენმა მზვერავებმა ხიდის ნაწილი აიფეთქეს. გალაცში რამდენიმე ადგილას მოპირდაპირის ჯგუფები ბაირაღებით შეეცადნენ ჩვენს თხრილებთან მოახლოვებას, მაგრამ სროლით სანგრებშივე მივაბრუნეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა, ზვერვა და ნაფრინავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. ქალ. მოტაშუს მიდამოებში, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ თოფებისა და ზარბაზნების სროლით უკუ ვაგდეთ.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

შავი ზღვა. ბოსფორში ჩვენმა წყალქვეშამ ოსმალების მოტორიანი ნავი და ორი დატვირთული შხუნა დალუპეს.

მფრინავთა მოქმედება. მფრინავმა პრაპორჩიკ პაზჩეხკომ გერმანელების საფრენი ჩამოაგდო, საფრენი ცეცხლმოდებული დაეცა მტრის მხარეს, ოქშანის მიდამოში.

პეტროგრადი. გამოქცეულ ავსტრიელ აფიცრის სიტყვით, გერმანეთის კანცლერს ბეტმან-ჰოლგეგს სტოკჰოლმში გაუგზავნია რამდენიმე გერმანელი სოციალისტი, რათა შეეხვედროდენ და სეპარატიულ ზავზე მოელაპარაკნათ რუსეთის სოციალისტების წარმომადგენლებთან. ამავე დროს ჩერვიშენის მიდამოს აღებაც არ გაუმეღავნებიათ და არც ჩვეულებრივი მანიფესტაციები მოუხდენიათ ამის გამო. აფიცრის სიტყვით, გერმანელი სოციალისტები მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებენ და თავისი თავი უპირველესად გერმანელებად მიაჩნიათ.

მეორე გამოქცეულის სიტყვით ავსტრიელები უფრო ნაკლებ ლაპარაკობენ ზავის თაობაზე. მათ იმედი აქვთ, შინაური განხეთქილება რუსეთს დაამხობს, ამ ცნობებიდან ცხადია, გერმანელები ეცდებიან თავის მოპირდაპირეთა შორის შუღლი ჩამოაგდოს როგორმე.

საფრენების დაღუპვა

პეტროგრადი. მუდოლავის ჩრდილო-აღმოსავლეთით პორუჩ. ვაკულოვსკიმ გერმანელების საფრენი ჩამოაგდო, საფრენი დაიწვა, მფრინავები დაიღუპნენ.

ბრზეჟანის აღმოსავლეთით ზომლევიჩმა გერმანელების საფრენი გაანადგურა.

პეტროგრადი. მირეჩესჩის მიდამოებში, ფოქშანის აღმოსავლეთით გერმანელების 2 საფრენი ჩამოვაგდეთ. საფრენები დაიწვა.

ლონდონი. 30 მარტს საფრანგეთის აპარეზზე გერმანელებს 3 საფრენი დავეღუპეთ, სამიც იძულებული ვყავით ძირს დაშვებულიყო. გუშინ გერმანელების 4 საფრენი გავანადგურეთ, 5 ძლიერ დავაზიანეთ. ჩვენი 6 საფრენი აღარ დაბრუნებულა, 3 საფრენი სხვა გაგვინადგურეს.

ლონდონი. 31 მარტს გერმანელების 4 საფრენი იძულებული ვყავით ძირს დაშვებულიყო. დღისით კიდევ ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ. ჩვენ 3 საფრენი დაგვაკლდა.

საზრანგეთი

პარიზი. 5 აპრილი. სალამოს ოფიც. ცნობა. სენ-კანტენსა და უაზს შუა რამდენიმე დღეს ზარბაზნების დაშენით საიერიშოდ ვემზადებოდით 40 ვერსის სიგრძეზე. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. მტერს დიდი ჯარისა და მრავალრიცხოვანი ზარბაზნებისათვის მოეყარა თავი. სუასონსა და კროანის შუა ავიღეთ კრაონი. ვილდე-ბუას ჩრდილოეთით მტრის სამაგიერო იერიშები მოვიგერიეთ.

ჩინეთი და გერმანია

პეკინი. ოფიციალი გაზეთები აცხადებენ, რომ ჩინეთი გერმანეთს ომს ამ მოკლე ხანში გამოუცხადებსო. ამ მიზნით ამ დღეებში მოწვეული იქნება სამხედრო კონფერენცია.

გემების დაღუპვა

პარიზი. ბუენოს-აიროსიდან იტყობინებიან: წყალქვეშამ დაღუპა არგენტინის მეგადურთა გემი.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება: 28 მარტს ლამანშის არხში მოდარაჯე გემი ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. დაიხსნა 2 აფიცერი და 14 მეზღვაური.

კოპენჰაგენი. დანიის შხუნა „ლინემან“-ი ატლანტიის ოკეანეში დაღუპეს. გემის უფროსი და 3 მეზღვაური დაიღუპა.

ლონდონი. 28 მარტს გერმანელებმა ლამანშის არხში დაჭღუპეს ინგლისის საჰოსპიტლო გემი „გლოჩესტერ-კესტლ“-ი. დაჭრილები გადაარჩინეს.

საადმირალო იტყობინება: საჰოსპიტლო გემი „სალტა“ ლამანშის არხში ნაღმს წააწყდა. გემზე დაჭრილები არ იყვნენ. ზედმყოფთაგან დაიღუპა 52 კაცი, მათ შორის 5 ექიმი, 9 მოწყალე და.

ემიგრანტების დაგრუნება

(პ. დ. ს.)

სტოკჰოლმი. „პოლიტიკენ“-ი გადმოგვცემს: ინგლისის მთავრობამ რუსეთში მიმავალი ემიგრანტები არ გაატარა, ომის წინააღმდეგნი არიანო. ემიგრანტებმა გერმანეთს მიმართეს, შვეიცარიის სოც.-დემოკ. მდივნის ფრიც პლატენის პირით და მოითხოვეს ექს-ტეოიტორიალურის უფლებით გაეტარებინათ გერმანეთზე და არც გერმანელ აგენტებს უფლება არა ჰქონდეთ კანტროლი მოახდინონ, პასპორტები და ბარგი გაუჩხრიკონ, სამაგიეროდ რუსეთში დაპატიმრებულ გერმანელ და ავსტრიელ სამოქალაქო პირთაც გავანთავისუფლებინებთო. გერმანეთის მთავრობამ ეს პირობები მიიღო და 30 რუსი ემიგრანტი გაემგზავრა შვეიცარიიდან შვეციისაკენ. მათ შორის არის ლენინი, ზინოვიევი „სოციალ-დემოკრატ“-ის რედაქტორი, პარიზულ გაზ. „ნაჩალო“-ს რედაქტორი, მიხა ცხაკაია და რამდენიმე წევრი ებრაელთა ბუნდისა. გერმანელებმა სისწორით აასრულეს პირობა და ემიგრანტები 12 აპრილს შვეციაში მივიდნენ.

კლეხანოვი პეტროგრადში

პეტროგრადი. 1 აპრილს, შუადამის 12 საათზე, ფინლანდიის რკინის გზით მოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დამაარსებელი გ. ვ. **პლეხანოვი. სადგურზე** დეპუტაციები გაირაღებით შეეხვდნენ. ყველაზე წინ იდგნენ სხვა და სხვა პარტიისა, ქარხნებისა და საპროფესიო კავშირების დეპუტატები. პირველ რიგში იდგა გაზეთ „ედინსტვო“-ს (ერთობა) რედაქციის დეპუტაცია. ეს გაზეთი პლეხანოვის დაარსებულია. ხალხის წინ იდგა მუშათა მილიცია და ჯარისკაცები თოფებით და ორკესტრით. წესიერებას იცავდა ქალაქის უფროსის თანაშემწე სვაციკოვი. პლეხანოვი ხალხმა ხელით გამოიყვანა. დაჰკრეს მარსელიეზა, პლეხანოვს მოსდევდა ბურცევი, „ედინსტვოს“ რედაქტორი იორდანოვსკი, მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს თავმჯდომარე ჩხეიძე და პლეხანოვის სხვა მეგობრები. ხალხი ქუდმოხდით შეეგება. პლეხანოვმა მთელი ბაქანი ჩაიარა.

პირველად ჩხეიძემ მიჰმართა და აღნიშნა, რომ პლეხანოვის ჩამოსვლა შემაერთებელი ჯაჭვი იქნება, სოციალ-დემოკრატებში მშვიდობიანობის მომფენი. პლეხანოვმა უპასუხა: ეჭვი არა მაქვს, რომ საჭირო და შესაძლებელიც არის რუსეთის ბრწყინვალე მერმისისათვის მებრძოლთა გაერთიანება, ეჭვი არა მაქვს, რომ დღევანდელს ჟამს, როდესაც მტერი რუსეთის მიჯნებს მოსდგომია, რუსეთის მოქალაქენი გაერთიანდებიან და მკერდით მოიგერიებენ მტერს.

მისალმებისა და „ვაშას“ ძახილის შემდეგ, პლეხანოვი ხალხმა ხელში ასწია და ქუჩაში ისე გამოიყვანეს. აქ ავტომობილში ჩასხდნენ პლეხანოვი, ჩხეიძე, წერეთელი, სკობელევი და სახალხო სახლისაკენ გაემართნენ, მუშათა დეპუტატების საბჭოს კრებაზე დასასწრებლად.

უკანასკნელი ცნობები

აზეფი ბერლინში ყოფილა და სხვის სახელით იმალებოდა თურმე. როცა ომი გამოცხადდა, აზეფი გერმანიის მთავრობას დაუტუსაღებია, როგორც რუსეთის ქვეშევრდომი. ციხეში სხვა რუსებს უცვნიათ აზეფი და შემდეგ თითონაც აღარ დაუმალავს თავისი ვინაობა. აზეფთან ერთად ციხეში ყოფილა მეორე დიდი გამცემი ზინაიდა ჟუჩენკა.

—

სუხომლინოვის საქმის გამოძიება აღდგომის შემდეგ დასრულდება. ამ ბოლო ხანში გამოირკვა, რომ რუსეთის მე-20 კორპუსის დამარცხება აღმოსავლეთ პრუსიაში, მიასოედოვის ბრალი არა ყოფილა, თუმცა მიასოედოვი საერთოდ მოღალატე კი იყო. ეს დამარცხება შედეგი იყო ერთმანეთის მოწინააღმდეგე განკარგულებათა, რომლებსაც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იძლეოდა. გამომძიებელ კომისიას გადასაწყვეტი აქვს საკითხი, თუ რა დამოკიდებულებანი ჰქონიათ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და სუხომლინოვს ერთმანეთში და ვინ არის ნამდვილი დამნაშავე მე-20-ე კორპუსის დამარცხებაში.

—

ტოხოლზე ბრძოლის დროს გენ. ბრუსილოვის ჯარს 25,000 მეომარი დაუკარგავს; გერმანელთა ოფიციალ ცნობით მათ ტყვედ წაუყვანიათ 150 აფიცერი და 9,500 ჯარის კაცი. 15 ზარბაზანი ს 150 ტყვიისმფრქვეველი. საერთო რიცხვი რუსთა დანაკლისისა გენერალ ბურსკის ანგარიშით 15 ათასი კაცი უნდა იყოს.

—

პეტროგრადში კაზაკთა დემოკრატიულმა ნაწილმა დაადგინა, დაარსდეს კაზაკთა საზოგადოება მთელი კაზაკების გასაერთიანებლად პოლიტიკურ და ეკონომიურ ნიადაგზე.

—

სარატოვში ზოგიერთი მემამულე ტყეებს ჰყიდის. ამის გამო მილიციონერები ჩაყენეს, რათა ტყე არავის გააკაფინონ ვიდრე მიწის საკითხი არ გადასწყდება.

დეპეშა

(„საქარ.“ საკ. კორეს.)

მლეთი. მლეთის საზოგადოების (დუშეთის მაზრისა) წარმომადგენელთა კრებამ დაადგინა: მიესალმოს დროებითს მთავრობას და გადასწყვიტა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს რევოლუციონურ ხალხის მიერ რუსეთის საკეთილდღეოდ უკვე აღებულ პოზიციების განსამტკიცებლად. მოითხოვს, რაც შეიძლება მალე, მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისცეს საქართველოს და რუსეთის ყველა ერებს პოლიტიკურ-ტერიტორიალური ავტონომია.

მლეთის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი **მალანია.**

—

ქუთაისი. გაზეთ „სამშობლოში“ მოთავსებული ცნობა, თითქოს „ყაზარმებში გაზეთები „ერთობა“ და ჰორიზონი“ აეკრძალოთ ყოველგვარ საბუთს მოკლებულია.

აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ჩიქოვანი**

მისალოცი დეპეშები

პიშპეკი. აქ მყოფი ქართველები აღფრთოვანებით მიესალმებიან სოც. დემოკრატთა იმ ჯგუფს, რომელთაც ლოზუნგად დაისახეს სამშობლოს ტერიტორიალური ავტონომია. ამ ნაბიჯში ვხედავთ დასაწყისს იმ საოცარ სნეულების დასასრულისას, რაიც ასე მოდებული იყო ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილში. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

ახალი ამბავი

✦ **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის** ბ-ნის ვ. ხარლამოვის მიწვევითა და თავმჯდომარეობით და იმავე კომიტეტის წევრის მ. პაპაჯანიანის მონაწილეობით, შესდგა წინასწარი თათბირი საქართველოს ეკლესიის დროებითს მართველობისა და რუსის სამღვდელოებისა ერისგანთა კომიტეტის წევრებისა, რომელმაც დაადგინა დაწესდეს შემათანხმებელი კომისია ორისავე მხარის წარმომადგენელთაგან ბ-ნის ხარლამოვის თავმჯდომარეობით გამოსამუშავებლად პირობებისა ორის ერთმორწმუნე მოძმე ერის მოსათანხმებლად საეკლესიო საკითხში.

ამავე თათბირზე განცხადებულ იქნა, რომ რუსის სამღვდელოებისა და ერისგანთა მხრით არავითარი დაბრკოლება არ ეღობება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბამთა პრაქტიკულად განხორციელებას, აგრეთვე საქართველოს ეკლესია ამ საქმეში არავითარის დამპყრობელი (აგრესიული) მისწრაფებებით არ ხელმძღვანელობს.

პირველი სხდომა შემათანხმებელის კომისიისა დანიშნულია 6 აპრილისათვის.

✦ **ერთმა ცნობილმა ქართველმა,** რომელმაც არ ისურვა გაზეთში თავისი სახელის გამოცხადება, ამ დღეებში კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს, გადასცა 300 მანეთი ახლად განთავისუფლებულის ეკლესიის სასარგებლოდ, მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

✦ **სასურსათო თათბირი.** აპრილის შუა რიცხვებში თბილისში მოხდება სასურსათო თათბირი, რომელსაც პროვინციების ორგანიზაციათა წარმომადგენელნიც დაესწრებიან.

✦ **სახელმწიფო დაწესებულებათა** მოსამსახურეებმა, რიცხვით 10 ათასმა კაცმა, სთხოვეს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ჩვენი მხრივ 3—5 კაცი მიიღეთ კომიტეტის წევრადო. კომიტეტმა დაადგინა მხოლოდ 1 კაცი იქმნას მიღებული.

✦ **გაანთავისუფლეს** დატუსაღებული ნაბოქაულარები დუშინსკი და მაჰავარიანი. უკანასკნელს წინადადება მისცეს 3—4 დღეში დასტოვოს თბილისი. აგრეთვე გაანთავისუფლეს, ი. დოლუხანოვის თავმდებობით, მაძებარ პოლიციის უფროსად ნამყოფი გაგიევი.

✦ **მოწაფე ქალთა ექსკურსია.** გუშინ, 5 აპრილს ჩვენ რედაქციას ეტუმრნენ საგარეჯოს ხელსაქმის სკოლის მოსწავლე ქალები (თექვსმეტი) მასწავლებელ ქ-ნ ანიკო კაპანაძის მეთაურობით. მოწაფეებმა დაათვალიერეს სტანბაც. ეს მოწაფენი უკვე მთელი კვირაა თბილისში იმყოფებიან და ყველა საგულისხმო ადგილ-დაწესებულებებს ათვალიერებენ. აღდგომის წინა დღეებში მცხეთა მოიმგზავრეს და დაათვალიერეს აგრედვე ჯვარის მონასტერი.

✦ **გამგე და აღმასრულებელმა ორგანიზაციებმა** საჭიროდ სცნეს მაძებარ პოლიციის აღდგენა თბილისში. ამ დაწესებულების ხელმძღვანელად ნიშნავენ ისევ გაგიევს, რომელიც ახლად გაანთავისუფლეს საპრყრობილედან.

✦ **თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი** იმ აზრს დასდგომია, რომ დატუსაღებული მოხელენი პოლიციისა ჯერჯერობით არ გაანთავისუფლონ, სანამ წესრიგი კალაპოტში არ ჩადგება თბილისში. თითო-ოროლა კაცის განთავისუფლება შეიძლება საიმედო პირების თავმდებობით.

✦ **სამხედრო გამომძიებელი** კოჩუბინსკი დატუსაღებული იქნება და არ გაანთავისუფლებენ, სანამ აღმასრულებელ კომისიის საგამომძიებლო კომისია მისი საქმის გამოძიებას არ დაამთავრებს.

✦ **კარლო ჩხეიძის** ტრაღიკულად გარდაცვლილ ვაჟის ცხედარი თბილისის რკინის გზის სადგურზე მოასვენეს 4 აპრილს, დილით. სადგურზე ცხედარს დიდძალი ხალხი მიეგება. დროებითი მთავრობის კომისარმა ხარლამოვმა და ის. რამიშვილმა სიტყვა წარმოსთქვეს. ცხედარი წაასვენეს დასაკრძალავად შორაპნის მაზრაში, სოფ. კიცხში.

✦ **შუამდგომლობა.** აკაკი ჩხენკელთან იყო პოლონელთა დეპუტაცია და შუამდგომლობა სთხოვა, რომ გერმანიის პოლონელთა ჯარისკაცებს, რომელიც ტყვედ იქმნენ წამოყვანილი და ციმბირში გაგზავნეს, მდგომარეობა შეუმსუბუქონო.

✦ **მუსულმანთა კრება.** 15 აპრილს ბაქოში კრება ექნებათ მუსულმანთა საზოგადო მოღვაწეებს და თავიანთ ცხოვრების მოწყობის შესახებ ითათბირებენ.

✦ **ახალი კავშირი.** შაბათს, 8 აპრილს, სალამოს 8 საათზე, სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში, დანიშნულია ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა კრება საპროფესიო კავშირის დასაარსებლად.

✦ **ბათომის აღმასრულებელი კომიტეტი** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ სასტიკად აღკრძალულია ყოველგვარ მაგარ სასმელის მიტანა ბათომში და გასყიდვა. თუ ვისმეს ასეთი სასმელი აღმოაჩნდა, კომიტეტი ჩამოართმევს საქონლის ფასის აუნაზღაურებლადო.

✦ **ნამალევი საქონელი.** მე-4 უბნის მილიციის უფროსმა ძალვანის ქუჩაზე, გ. ბაინდუროვის ბინაზე, აღმოაჩინა 120,000 კვერცხი.

✦ **სახოფლო სამეურნეო ბანკმა** სესხის გირაოდ მიიღო თუშებისაგან 20.000 ფუთი მატყლი. ეხლა თუშები ცხვარს კრეჭენ და 23.000 ფუთი ვატყლი კიდევ ექნებათ გასასყიდლად.

✦ **გაზ. „ზაკ. რეჩი“** დღეს არ გამოსულა, რადგან გაზეთი სხვა სტამბაში გადავიდა და ყველაფრის მოწესრიგება არ მოესწრო. ხვალიდან გაზეთი გამოვა ახალი სათაურით „ვოზროჟდენიე“.

✦ **მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა** სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენებსა და სპეკტაკლებზე თეატრებსა, კლუბებსა და ცირკებში 24, 25 და 26 მარტს შემოვიდა 11,287 მანეთი.

✦ **დაბრუნდა თბილისში** აკაკი ჩხენკელი, რომელიც ქუთაისსა და ბათომში იყო სამოგზაუროდ. ჩხენკელის თანამხლებით ქუთაისში შემდგარა შერეული კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საერთო პლატფორმა პოლიტიკურ პარტიათა მოსარიგებლად და სამოქმედოდ.

✦ **ხახლის პატრონები და მეეზოვენი.** ამ ერთი თვის წინად თბილისის მილიციის უფროსმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც, სხვათა შორის, ხახლის პატრონები ვალდებული არიან წინანდელ წესის მიხედვით, უთუოდ იყოლიონ მეეზოვენი და ის მემამულე, რომელიც ამ ბრძანებას არ შეასრულებს პირველად დაჯარიმდება 5 მანეთით და შემდეგ ჯარიმა თანდათან გაორკეცდება, ე. ი. შემდეგ თითოეულ შემთხვევაში ჯარიმა იზრდება არითმეტიკული პროგრესიით. ეხლა ვერის ხახლის პატრონებმა საჩივარი მიართვეს ქალაქის კომისარიატს. მოჩივანნი აცხადებენ, რომ კოგანის განკარგულება კანონიერი არ არის, რადგან მეეზოვეთა ინსტიტუტი იმ დროს დაარსდა, როცა გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს, მაგრამ რადგან ეხლა რევოლიუციამ გააუქმა ის წესები, მეეზოვეთა ინსტიტუტის არსებობამაც თავისი მნიშვნელობა დაჰკარგაო. ჯარიმის შესახებ მომჩივნები აცხადებენ, რომ კოგანის ბრძანება ჯარიმის რაოდენობის შესახებ მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას, რადგან ბრძანების აღნიშნულ მუხლის შესრულება არას შემთხვევაში არ შეიძლებაო. მომჩივნები შემდეგი საბუთებით ამტკიცებენ თავიანთ მოსაზრებას: კოგანის განკარგულება თვეზე მეტია, რაც გამოიცა და ამ ხნის განმავლობაში განკარგულება ყოველ მუდამ დღეს ირღვეოდა ბევრი ხახლის პატრონის მხრივ, ვინაიდან მეეზოვეების შოვნა შეუძლებელი გახდა. კოგანის ბრძანების თანახმად თუ დამნაშავე დაჯარიმებულ იქმნა, თითოეულ დამნაშავეს უნდა გადახდეს 2.685.181,760 მან., რაიცა ყოვლად შეუძლებელიაო.

✦ **თბილისის** გაზეთებში ამას წინად დაბეჭდილი იყო, რომ თანამდებობიდან გადააყენეს თელავის პოლიტიკურ-ტერიტორიალური ავტონომია. ამ ნაბიჯში ვხედავთ დასაწყისს იმ საოცარ სნეულების დასასრულისას, რაიც ასე მოდებული იყო ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილში. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

✦ **ბათომის ოლქის** ალეთა დეპუტატების საბჭომ 24 და 25 მარტს ბამართა ბულეთელთა ფულის შემოწირულება ბრძოლის ველზე მყოფ ჯარის კაცთა სასარგებლოდ, შეწირულება 23 ათას მანეთს აღემატება.

✦ **ახალი გაზეთი.** ბათუმის აღმასრულებელმა კომიტეტმა რუსულ ენაზე გამოსცა ყოველ-დღიური გაზეთი: „ბათუმის თავისუფალი დღე“.

✦ **მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა** პირველ აპრილის სხდომაზე დაადგინა: თბილისის გუბერნია რაიონებად დაიყოს, ყოველს რაიონში გაიგზავნოს პროპაგანდისტები ბლეხთა შორის პროპაგანდის გასაწევად და ორგანიზაციების მოსაწყობად. ამავე სხდომაზე დაადგინეს წინადადება მისცენ კომისარიატს მაზრებსა და უბნებში კომისარები დაინიშნოს; და მიეცეს სოფლის კომისიებს წინადადებები, გაძლიერონ თავიანთი მოქმედება და კვირაში ერთჯერ მოქმედების ანგარიში წარუდგინონ აღმასრულებელ კომიტეტს. გადასწვეტეს აგრედვე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა მუშაობის გაერთიანებისათვის კვირაში ორჯელ შეერთებული თათბირი გამართონ.

თელავი.

— თელავის მაზრის ნაუფროსალის თანაშემწე მატიუგინი, რომელიც ჯარისკაცთა შორის ძველი მთავრობის სასარგებლო აგიტაციას ეწეოდა, შეიპყრეს მილიციონერებმა და ციხეში გაგზავნეს.

— აღასრულებელმა კომიტეტმა სამსახურიდან დაითხოვა ორი მომრიგებელი შუამავალი, რევიზორი, ტყეების უფროსი და გიმნაზიის დირექტორი ნიკიტსკი.

— აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზი და ყაზარმები ტელეფონით შეაერთეს.

— საადგომოდ აქ ნება დართეს ღვინის გაყიდვისა.

— შემ.-გამ. ამხანაგობამ თვის წევრებს სამ-სამი გირვანქა დამტვრეული შაქარი დაურიგა.

ბოდბე.

ბოდბის მონასტრის მონაზნებმა ერთხმად დაადგინეს გაძევება იღუმენია იუვენალისი. მაგრამ ეს უკანასკნელი არ მიდის, და თავს იმით მართლულობს — ნაეკზარხოსალი პლატონი არ მიშვებსო.

ღია გარათი

ქართველ მწერლებს.

მამულიშვილნო და მოქალაქენო!..

დღევანდელი დღე და ორივე ეს სიტყვა გვავალებს.

სხვა დროს არ გვქონია საშუალება არც შეერთებისთვის და არც ხმის ამოღებისათვის.

დღეს ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.

ომის გამოცხადებისას ქვეყანა მოიარა გერმანელ მწერალთა და მეცნიერთა ქედმაღალმა მოწოდებამ; მოპირდაპირეთაც უპასუხეს თავიანთი ლირსების შეგნებით.

ერის სული წმერლობაში ლაპარაკობს.

არავის არ აქვს მეტი უფლება ერის სახელით გამოსვლის, ეს მწერლების საღმვთო მოვალეობაა.

თქვენ,

ვისაც გაწვალებდათ საქართველოზე ფიქრი,

ვინც იტანჯოდით მისი ტანჯვით,

ვინც ყველაფერი შესწირეთ მისი სიწმიდის შესანახათ

და გიყვარდათ საქართველო უფროს ყველაფრისა, რაც წარმავალია და არამარადი თქვენ ხალხი დაგიჯერებთ, რადგან თქვენი უწინაც სჯეროდა.

ეს ნდობა არის ერთად ერთი და უდიდესი საჩუქარი უანგარობისა და სიწმიდისათვის ქართველი ხალხისგან.

დღევანდელმა სასტიკმა ომმა გამოაჩინა, რომ არ არი სიტყვა, უფრო წმიდა და ძვირფასი, როგორც სიტყვა „სამშობლო“.

კეთილშობილი საფრანგეთი, რომლის დეკადანსზე ასე უყვარდათ ამდენ ხანს ლაპარაკი, ეხლაც ემაგალითა მისგან უკვე დავალებულ კაცობრიობას. სამასზე მეტმა ყველაზე ნიჭიერმა პოეტმა, მწერლებმა და მხატვრებმა დასდვეს თავიანთი სიცოცხლე საფრანგეთისთვის არრასის და სხვა თხრილებში. საფრანგეთი უკვე შეეჩვია იმ აზრს, რომ ორმოცდა ათი წელი მისი მწერლობა ამის გამო იქნება გამწვევ კრიზისსში.

მონობაში დაბადებული და აღზრდილ ქართველებს გვეძლევა დღეს საშუალება გავიმეოროთ წინათქმა, რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებას“ და რომელსაც გძელ ისტორიულ ცხოვრებაში ამართლებდა ქართველი ერი.

— არავის ვეყმოთ, არცა ვემონოთ **ჯარეშე ღვთისა დამბადებელისა“...**

თავისუფალი და ბედნიერი საქართველო—ჩვენ შეგვაერთებს.

დღეს, როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან ალბად სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო ჯგუფურ, თუ სხვა მოთხოვნათა შერევით, საჭიროა მათ წინ უსწრობდეს ქართველ მწერლების შეერთებული ხმა, რომელშიც ყოველ ჯგუფობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება.

დღეს, როცა ხალხში რიგდება ალბად უთვალავი ფურცლები და მოწოდებები, საჭიროა იყოს მოწოდება ქართველი მწერლების; მოყვარული გულით და ნიჭიერი ხელით დაწერილი ეს მოწოდება მონახავს ხალხის გულს.

ბევრია კიდევ სხვა, რაც მოითხოვს შეერთებას და ქართველ მწერალთა ლიგის დაარსებას, ეს ალბად კრებაზე გამოჩნდება.

„სიტყვა კაზმულ“ და „ქართველ მხატვართა“ საზოგადოებანი და თუ ისინი არა კერძო საინიციატივო. ჯგუფი მწერლების იკისრებენ ამ საქმის დაწყებას.

დიდია მოვალეობა, რომ იყოს იჭვი ამის უარყოფის...

ტ. ტაბიძე.

რევოლუცია სოფლად

სოფელი კოლგოული (ზემო იმერეთი). მარტის 16 რიცხვში აქ მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგი. კორბოულის სასოფლო სამმართველოს წინ თავი მოიყარა 3000 სულამდე კაცმა და ქალმა. ადგილობრივ სკოლის აივანზე ფრიალებდა წითელი დროშები. „თავისუფლების“ წარწერით. კრებას დაესწრნენ დ. საჩხერის საორგანიზაციო კომიტეტის 5 წევრი თავ. პეტ. წერეთლის მეთაურობით, რომელმაც კრება გახსნა და პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. დროის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს ანტონ სულამანიშვილმა და ადგილობრივმა მღვდ. ვლად. მაჭარაშვილმა. ილაპარაკეს აგრეთვე მწერალმა დ. მაჭარაშვილმა და გ. კაპანაძემ. ყველა ორატორი მოუწოდებდა ხალხს მხარი დაეჭირათ რუსეთის დროებით მთავრობისათვის.

შემდეგ მოხდა არჩევნები საორგანიზაციო კომიტეტისა. კორბოულის საზოგადოებაში შედის 11 სოფელი. თვითეული სოფლიდგან აარჩევინეს თითო კაცი—სულ კი 11 წევრი კომიტეტისა.

დამსწრე.

—

ს. მეჯვრისხევი. 19 მარტს 11 საათზედ გაიმართა მრავალ რიცხოვანი სახალხო მიტინგი. მოზღვავდა დიდძალი ხალხი წითელის დროშებით. ყველა სცდილობდა, რომ წესიერება არ დარღვეულიყო, და ხალხი მოუთმენლად მოელოდა ორატორის ტრიბუნაზედ ასვლას. აგერ კიდეც გამოჩნდა ტრიბუნაზედ ორატორი. ეს ამოდელა ზღვა ხალხი მთლათ სჩენათ გადაიქცა. ილაპარაკა ექვსმა ორატორმა. წესიერება, მიუხედავათ იმისა, რომ პოლიცია გადაყენებული იყო და ახალი მილიციაც არ იყო შემდგარი, საუცხოვო იყო და ოდნავაც არ დარღვეულა.

მიტინგზედ გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: გაეგზავნოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ლვოვს, თავმჯდომარეს აღმასრულებელ კომიტეტისას როძიანკოს და იუსტიციის მინისტრს კერენსკის ტელეგრამები შემდეგის შინაარსით: მრავალრიცხოვანი მიტინგი მეჯვრის ხევის საზოგადოებისა უგზავნის მხურვალე სალამს რევოლიუციურ მთავრობას, მუშების დეპუტატების საბჭოს და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, აცხადებს რა ხმამაღლა, რომ ყოველის ღონით დაიცავს რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას, ამასთანავე საჭიროთ სთვლის განხორციელდეს სრული ამნისტია, დათხოვნილ იყვნენ ყველა აგენტები ძველი მთავრობისა, განხორციელდეს თავისუფლება: კრებისა, სიტყვისა, კავშირებისა და სხვა, მიენიჭოს ყველა ერებს რუსეთის სახელმწიფოისას, კერძოთ სააქართველოს ნაციონალურ პოლიტიკური თავისუფლება, მოწვევას რაც შეიძლება მალე დამფუძნებელ კრებისა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს რუსეთის რესპუბლიკას.

მიტინგმა 4 საათამდე გასტანა, რომლის შემდეგ ხალხი ნასიამოვნები ნახულ-გაგონილით წყნარათ და მშვიდათ დაიშალა.

მოხდა აღმასრულებელ კომიტეტის და გლეხთა საბჭოს წევრთა არჩევნები. აირჩიეს შემდეგი პირნი: თავადაზნაურობის მხრით ვ. ბათიაშვილი, შემნახველ გამსესხებლის ამხანაგობის მხრით კ. თულაშვილი. მომხმარებელ საზოგადოების მხრით ი. მთიულიშვილი, სკოლების მხრით მ. კოკელიძის ქალი, გლეხების მხრით ანდრია კასრაძე, ალექ. ახალბედაშვილი, შაქრო ანიკიევი, იოსეპ ხუტიაშვილი, შაქრო მამითაშვილი, იობა ხომეზური, ზენო ბოლათაშვილი, იაკოფ ილურიძე, იასე შიუკაშვილი და მიტრო მახათაძე და ქალთა საზოგადოების მხრით „მანდილოსანი“ს ნინო არსენაძე.

ამ ზემოხსენებულ პირთა კრება არის დანიშნული 25 მარტს, რომ შეადგინონ აღმასრულებელი კომიტეტი და გლეხთა საბჭო, აგრეთვე დანიშნონ სანაწილო და სარაიონო კომისარები, რათა ყველა თავის საქმეების აღსრულებას შეუდგნენ.

მიტინგის თავმჯდომარე ვ. ბათიაშვილი.

შემოწირულებანი

ბ-ნ გრ. ჟღენტისაგან ზაქათალიდან მოგვივიდა 28 მან. 50 კ. შეკრებილი იქაური ქართველობაში საქართველოს „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის“ სასარგებლოთ.

შემომწირველთა სია:

5 მან. ბლ. ბ. ფურცელაძემ, სამსამი მანეთი: ვალ. ბერძენიშვილმა, არქეორაშვილმა, მოსე სიყმაშვილმა, ვანო ჯაველიძემ, კ. თევზაძემ; 2 მან. ს. ფურცელაძემ; 1 მ. 50 კ. გ. ხოსიტაშვილმა; თითო მანეთი: გურულმა, ნ. ჯანდიერმა, მ. შენგელიამ, დ. მამისაშვილმა და თ. ფურცელაძემ.

გრ. ჟღენტი.

—

სერგო იაგორის ძე გოგიჩაიშვილმა თავის მიცვალებულ დის სულის მოსახსენიებლათ გაზეთი მთელის წლით გაუწერა სოფელ ეწერ-ბაღლების სამკითხველოს.

—

პატივცემულმა პოლკოვნიკმა ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილმა ჟურნალი „ნაკადული“ გამოუწერა ბოდბის ხევის სკოლას 1918 წლამდე.

მადლობას ვუძღვნით, მასწავლებელი ელიოზ ხუციშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ალექსანდრე შალიკაშვილი

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ყოლოფინის პრ. და სამხედრო ჟურნალის „ეუთაბეში“, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროფესორ ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

ექიმი
ე. ლ. შალაგერიძე
იღებს სანებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, ყირიმ-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—907—)

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პრ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლლას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ადვოკატი ალექსანდრე
ბოსე ახვლედიანის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლლას ქ. № 8.

პახელ მევენახეთა საზოგადოების „პახეეთის“ გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 7 აპრილს ქ. თელავში დილის 11 საათზე დანიშნულია

წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია:

1) წევრთა სიის გადასინჯვა.
2) განხილვა და დამტკიცება $19^{15}/_{16}$ წლის ანგარიშისა.
3) განხილვა და დამტკიცება $19^{16}/_{17}$ წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა.
4) მიწის შეძენა საზოგადოების საჭიროებისათვის გურჯაანსა დ თბილისში.
5) გამგეობის ერთი წევრის და სარევიზიო კომისიის 3 წევრის არჩევანი.
6) მიმდინარე საკითხები.

რადგან კრება მეორეთაა დანიშნული, იგი კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(2—630—2)

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლის“ გამგეობა

აცხადებს, რომ **წრეულაც განაგრძობს მოქმედებას და მიიღებს ყოველგვარ ხილხა და ბოსტნეულს იმავე წესით, როგორც აქამდე იყო.**

ამასთანავე 15 აპრილს ქ. გორში მოწვეულია დღის 12 საათზედ

საზოგადო კრება

განსახილველია:

1) წლიური ანგარიში 1916—17 წლისა და საქმის მდგომარეობა. 2) მომავალი 1917—18 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და საორგანიზაციო გეგმა. 3) საქონლის შეძენის სხვა და სხვა პირობათა მიღება. 4) გამგეობის წევრთა არჩევანი და 5) მიმდინარე საქმეები და საკითხები.

(2—637—2)

ახალი საკრებულო

(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პროსპექტი № 163.

ხუთშაბათს, 6 აპრილს,

სინემატოგრაფი, საზანდარი, სიმეგიანი ორკესტრი

პარასკევს, 7 აპრილს,

კონცერტი საოპერო

მომღერალის ვ. ლორთქიფანიძისა ქ. იკოევისა და სხვათა მონაწილეობით

რიალზედ დაუკრავს ძ-ბ. ანდრონიკოვისა.

სტუმრები საზოგადო წესით. წარმოდგენებზედ შესვლა უფასოა.

(1—635—1)

1917 წ. მიიღეგ ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

ფელიეტონი მეთოდრამეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 **წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები

და წერილები

სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა დ აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვნიკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი იან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით ხამ მანეთ-ნახევარია (3—50).

სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—9)

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი ქასთან იაფი საშუალება

სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ლითონებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის ჭყლეტებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას **საჩქაროდ კურნავს** საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება **პროფესორ როშის**

იოდასტარინი

ნუ შეგეცვლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ როშეს პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, ½ 16 მანეთი ¼ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა გსურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторій, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго Банка.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილეული, მადნეული **წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

ლალიძის

და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია


ქუთაისში
ქარხანა
ბ. ლ. ლალიძე
ქუთაისი
ბ. ლ. ლალიძე
ბ. ლ. ლალიძე
ბ. ლ. ლალიძე